№1076 2015 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

ეროვნული სამედიცინო ტრენინგ-ცენტრის მშენებლობის თაობაზე შეთანხმების გამარტივებული წესით გაცემის შესახებ

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ტექნიკურმა და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ, წარდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციისა და გამოკვლევის შედეგების საფუძველზე, გამარტივებული წესით, გასცეს შეთანხმება ეროვნული სამედიცინო ტრენინგ-ცენტრის მშენებლობის თაობაზე.

2. ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ეროვნული სამედიცინო ტრენინგ-ცენტრის შენობის ექსპლუატაციაში მიღება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**